№ 78. 17 აპრილი, პარასკევი. 1866—1881 17 აპრილი, პარასკევი. № 78.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილიძე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მოკრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

კვირას, 19 აპრილს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

აბონიმენტის რიცხვში

რევიზორი

კომედია 5 მოქმედებად გოგოლისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

## ტელეგრამმები

—

პეტერბურღი, 15 აპრილს. „მმართებლობის მოამბეში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი თ. გორჩაკოვის სახელობაზედ, რომელსაც ამ ჟამად შეუსრულდა 25 წელიწადი მას აქეთ, რაც უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრად იყო დანიშნული. რესკრიპტში ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც ამ თანამდებობაში დაუმსახურებია კანცლერს გორჩაკოვს. თ. გორჩაკოვს ებოძა გულზე სატარებელი ალმასებით შემკობილი სურათი მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მეორისა და აგრეთვე იმპერატორის ალექსანდრე მესამისა.

გაზეთ „ნოვოსტში“ იწერებიან, რომ ამ დღეებში ჩამოღრჩობილის პოლიტიკურ დამნაშავის კიბალჩიჩის მამამ, მღვდელმა, მოსკოვში ჩამოიღრჩო თავი.

ბერნი, 14 აპრილს. შვეიცარიის საკავშირო რჩევამ წინადადება მისცა პროკურორს, გამოძიება მოახდინოს იმ პროკლამაციების თაობაზედ, რომ ჟენევის ქუჩებში იყო აკრული და რომელშიაც გამოცხადებული იყო რუსის მმართებლობის გაკიცხვა ხელმწიფის მკვლელთა ჩამოღრჩობის გამო.

ბონ, 14 აპრილს. დენ. ლოჟერის ჯარი თუნისის სამფლობელოში გადავიდა და მიადგა ქალაქს კეფს იერიშით ასაღებად. მეორე მხრით საფრანგეთის სამხედრო ხომალდი მიადგა ტაბარკის ციხეს და ყუმბარებით დააქცია. დღეს ხომალდებიდამ ფრანცუზის ჯარი ხმელეთზე გამოვიდა.

პეტერბურღის ბირჟა, 14 აპრილს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 97 | 25 |
| მეორესი | 94 | 25 |
| მესამესი | 94 | 75 |
| მეოთხესი | 94 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 97 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | 90 | „ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკისა | 90 | 75 |

| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 223 | 75 |
| მეორე სესხის | 216 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 23 | 62 | პენსი |
| ბერლინი | 124 | 62 | პფენიგი |
| ჰამბურღი | 210 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 260 | „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

ტფილისი, 16 აპრილს.

წარსული ხუთმეტი წელიწადი შეადგენს ერთს უუბნელესს გვერდს რუსეთის სწავლა-განათლების ისტორიისასა. ბევრი უბედობა გადახდა სამოსწავლო უწყებას ამ დროების განმავლობაში. მწარე იყო ეს ხანი და კიდევ უმწარესი ნამყოფი მოიტანა.

გრაფის ტოლსტოის წყობილებამ უთვალავი დაბრკოლება მისცა საზოგადო რუსეთის განათლებას. ამ აზრს ყველანი აღიარებს, ყველანი, ვინც კი შეადგენს საუკეთესო ნაწილს რუსეთის მწერლობისა და საზოგადოებისას, ვისაც თავის სამშობლოის ბედნიერება ჰსურს წრფელის გულით.

ახლა ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ წყობილებას ბოლო უნდა მოეღოს და სწავლა-განათლების საქმე სხვა გზას უნდა დაადგეს, და სულ სხვა პირობებში ჩასდგეს.

ის პირობები, რომელშიაც უნდა ჩასდგეს ჩვენი სწავლა-განათლება, უნდა მომდინარეობდეს ჩვენი ცხოვრებიდგანვე, ჩვენი საზოგადოების, სახელმწიფოის და საზოგადო ხალხის მოთხოვნილებანი უნდა იქნეს ამ შემთხვევაში სახეში მიღებული, ესე იგი სკოლას მჭიდრო და გაუწყვეტელი დამოკიდებულება უნდა ექნეს ჩვენს ცხოვრებასთან.

ეს უბრალო და დაურღვეველი ჭეშმარიტება არ ჰქონია ტოლსტოის სახეში, როცა მან თვისი სისტემა შემოიღო რუსეთში. კლასსიკურმა განათლებამ ევროპა გაავითარაო, იმ ზედმოქმედებას იქონიებს ჩვენზედაცო — ეს იყო ერთი იმ საფუძველთაგანი, რომლითაც გადაყენებული მინისტრი ხელმძღვანელობდა. ის კი ავიწყდებოდა, რომ დასავლეთ ევროპაში კლასსიციზმს, კარგათ თუ ავათ, ფესვი ჰქონდა გადგმული, და რუსეთთან არ ჰქონია მას არავითარი დამოკიდებულება. ევროპის ხალხები იყვნენ და არიან მახლობელნი მემკვიდრენი ძველის საბერძნეთის და რომის ცივილიზაციისა, და რუსეთს კი მხოლოდ რელიგიური კავშირი ჰქონდა ვიზანტიასთან.

კლასსიკურ სისტემამ ვერ იპოვა რუსეთში განმაცხოველებელი ნიადაგი, ვერ მოიდგა ფესვები. ძალით უნდოდათ ეს უცხო მცენარე აჰყვავებულიყო და, რასაკვირველია, როგორც ყველაფერმა ნაძალევი, ამ საქმემაც მავნებელი ნაყოფი მოიტანა. ეგონათ, სხვათა შორის, კლასსიცისმი „კეთილ განზრახვიანობას“ დაადგენსო; მაგრამ იმან შხამი მოასხა მთელს რუსეთის ცხოვრებას, შეარყია ცხოვრების სიმშვიდე და დაჰბადა რამოდენიმე ასი ათასი მმართებლობის უკმაყოფილო პირები. დაიბადა უკმაყოფილება არა თუ მარტო ახალ თაობაში, არამედ მთელს საზოგადოებაში და იმ ზომამდი მივედით, რომ დღეს არ ვიცით, თუ ხვალ რა მოგვევლინება...

უეჭველია, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ამ მოვლინებისა არის კლასსიკური სისტემა, რომლის ჩაქოლვა ვერ მოახერხეს მესამოცე წლის გამოჩენილ მწერლებმა.

ახლა ცხოვრებამ აშკარად დაგვიმტკიცა, რომ ძველ გზაზედ მსვლელობა უნდა გამოიცვალოს, სწავლა-განათლების პირობები უნდა გადაკეთდეს.

ტოლსტოის, სხვათა შორის, ის აზრიც ჰქონდა, რომ სტუდენტობა

---

«დროების» ფელეტონი, 17 აპრილს.

### პოეტს.

(დობროლიუბოვიდან)

დრუბელთ ხელ-ახლად შავად შეჰკრეს ცა
და მოაბნელეს ვარსკვლავნი, მთვარე...
ჭექა-ქუხილმა გრიალი გასცა:
შიშით ცახცახებს მთლათ არე-მარე!

***

მაგრამ ნუ შიშობ: გრიგალი შესდგა
და ჭმუნვის ღამეც მირბის, ქვერინდება;
აქედან შორს, მთათ და ზღვათ იქით,
ბნელის მსთრგუნელი მზე გვიბრწყინდება..

***

ღვთიური შუქი ბნელს სძლევს, გააპობს
და მიესალმის სევდით მიღლილს თვალს;
ხალხს გააღვიძებს უძლურს, მიბნედილს
და დაანახვებს ყველას თავის გალს...

ა. ც.

თბილისი, 15 აპრილი.

### ლუკკის მეფე.

ერთს ჩემეცურს გაზეთში დაბეჭდილია უცნობი ავტორის შენიშნვა იტალიის ერთ ადრინდელ სამთავროის—ლუკკის საგერცოგოს—მეფეზედ კარლო მეორეზედ, რომელიც ბევრით მხრით საინტერესოა. მოგვყავს შემოკლებით ამ ავტორის ნაამბობი.

1846 წელს ავტორს განუზრახავს ერთი თავის მეგობრის გრაფის პ—ს ნახვა, რომელიც იმ დროს ზემოხსენებულ ლუკკის გერცოგთან იყო კარის-კაცად (კამერგერ).

ავტორი შემოდგომაზე მისულა ქალაქს ლუკკაში. იმის მეგობარს გრაფ პ—ს ძალიან გახარებია თავის ძველი ამხანაგის ნახვა და იმ წამსვე მთელის ერთის კვირით დათხოვნია გერცოგს იმ განზრახვით, რომ ამ ერთის კვირის განმავლობაში ჩემს მეგობართან განუშორებლად, ერთად გავატარებ დროსაო.

გერცოგს გამოუცხადებია სურვილი, რომ კამერგერმა გააცნოს თავის მეგობარი და ორივეს სთხოვა თურმე, რომ მუდამ დღე სადილათ ჩემთან მოდითო და საღამოები ერთად გავატაროთო.

აი ამ საღამოების ამბავს აგვიწერს ავტორი.

თითქმის მუდამ საღამოს პოლიტიზედ ვლაპარაკობდითო, სწერს ავტორი. გერცოგი მახვილ-გონიერი და განათლებული კაცი იყო. მოგეხსენებათ, რომ ამ დროს პაპი პიო მეცხრე ავიდა რომის ტახტზე, კონსტიტუცია დაჰპირდა თავის ხალხსა და ამ ამბავმა დიდი მოძრაობა მოახდინა იტალიაში.

ლუკკის საგერცოგო ავსტრიისაგან იყო მაშინ დამოკიდებული. გერცოგს კარლოს საშინლად სძულდა ავსტრია და ხანდისხან ისეთი უშვერის სიტყვებით ლანძღავდა ავსტრიის მმართებლობას, რომ ამ სიტყვებისათვის სხვას ვისმე ჩამოაღრჩობდნენ.

საზოგადოთ სახელმწიფოების წყობილებაზე და დაწესებულებაზე გერცოგი ისეთს აზრებს წარმოსთქვამდა ხოლმე, როგორც ახლანდელი რესპუბლიკელები. ავსტრია იმიტომ უფ-

არ გამრავლდესო, რადგან სახელმწიფოსთვის საშიშარნი არიანო. ყოველდღიურ დაკვირვებამ დაგვიმტკიცა, რომ სტუდენტობის და საზოგადოდ განათლების გავრცელებისაგან კი არ ელის რუსეთი უბედურებას, არამედ უმეცრებისა და გასანათლებელ საშუალებათა მოსპობისაგან...

ამ ათის წლის განმავლობაში რუსეთის უნივერსიტეტები თითქმის განახევრდნენ, რადგან რეალურ სასწავლებელთა მოწაფეებს არ შეეძლოთ უნივერსიტეტში შესვლა, და გიმნაზიები კი ძლიერ ცოტას ათავებინებდნენ კურსსა.

ჩვენ-და-სასიხარულოთ, მმართებლობას მიუქცევია ყურადღება ამ ზემოყვანილ ვითარებისათვის და განზრახვა აქვს რეალურ სასწავლებელთა მოწაფეებს გაუხსნას უნივერსიტეტში სწავლის გზა, გაეხსნას კარები.

რამოდენათაც ეს ამბავი სასიამოვნოა, იმოდენათაც სასურველია, რომ ეხლანდელი რეალური სასწავლებლები გადაკეთდეს და მათი პროგრამმა გამოიცვალოს. თუმცა ამ სასწავლებლებს რეალურს ეძახიან, მაგრამ ამ ჟამად, საუბედუროდ, ჭეშმარიტ რეალურ განათლებას ვერ აძლევენ ისინი ყმაწვილ კაცებს.

რაც უნდა იყოს ეს განკარგულება გვაძლევს იმედს, რომ მმართებლობა მეორესა და მესამე ნაბიჯსაც იქს სწავლა-განათლების გასაუმჯობესებლად რუსეთში.

## ახალი ამბები.

—

დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, რომ ახლანდელი ბათუმის სამხედრო ღუბერნატორი ღენ.-მაიორი კამაროვი იცვლებაო. ეს ამბავი ახლა გამართლდა: დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ბათუმის სამხედრო ღუბერნატორად, კამაროვის მაგივრად, ინიშნება თერგის მაზრის უფროსის თანაშემწე ღენ.-მაიორი სმეკალოვი.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ ახალი ღუბერნატორის ღუბერნატორობა უფრო ბედნიერი ყოფილიყოს ყოვლად-შევიწროებულ ბათუმის მაზრისათვის, ვინემ ბ. კამაროვის ღუბერნატორობა იყო. პირველი საგანი, რომელსაც ახალმა ღუბერნატორმა უნდა მიაქციოს ყურადღება, უნდა იყოს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც მთელი ქვეყანა უჩივის; ამას გარდა იმან უნდა გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომელნიც ბათუმის მაზრის ხალხს თავის ქვეყნიდამ გადასახლებას აიძულებს, უნდა გამოიკვლიოს და ენერგიულად შეუდგეს ამ მიზეზების მოსპობას...

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენი ქალაქი, ამ შემოდგომაზე შვიდს პირველ-დაწყებით სავაჟოს და ერთს საქალებო სახელოსნო სკოლას ხსნის თავის ხარჯით ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში. ამათგან სამი სავაჟო სკოლა განსაკუთრებით სომხებისათვის იქნება, ორი ქართველებისათვის და ორიც რუსებისათვის. ქართული სკოლები გაიხსნება იმ უბნებში, საცა უფრო ქართველები ცხოვრებენ, აგრეთვე სომხური სკოლები, საცა სომხები ცხოვრობენ და ამგვარათვე რუსის სკოლებიც. საქალებო სახელოსნო სკოლაში, ამბობენ, ამ თავით მარტო კერვასა და რეცხვას ასწავლიანო.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა ქალაქის რჩევამ შარშან გარდაწყვიტა 750,000 მანეთის სესხად აღება და ამ განზრახვით ექვს-სარგებლიან (6%) საქალაქო აბლიგაციების გამოცემა. ამ საგნის შესახებ ფინანსთ მინისტრს ჰქონდა წარდგენილი ქალაქის შუამდგომლობა და ახლა, როგორც პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, ხსენებულ მინისტრს ნება რთვა მიუცია სესხის აღებაზედ და 6% აბლიგაციების გამოცემაზედ.

ქალაქი სესხულობს ამ ფულს იმ განზრახვით, რომ საქალაქო სახლი ააშენოს, ხიდები ააგოს და სხვა შენობები, რომლიდამაც დიდ შემოსავალს მოელის.

* * *

ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი (მესამე) ნომერი აქაურ იურიდიულ გაზეთისა **„юридическое обозрѣніе“** („იურიდიული მიმოხილვა“), რომელშიაც სრულად და უკანასკნელად დაბეჭდილია მთელი პროცესი ხელმწიფის მკვლელებისა.

ეს ნომერი ცალკე ათ შაურად ისყიდება.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ აქ და თითქმის მთელს იმერეთშიაც დიდი მოძრაობა და ბევრი ლაპარაკი არისო ამ ჟამად მომავალ ბანკის კენჭის-ყრის თაობაზედ. მოგეხსენებათ, რომ ამ მაისის ყრილობამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და ამ თანამდებობაზე ახლავე რამდენიმე კანდიდატი და ახლანდელის თავმჯდომარის ბ. ნ. ღოღაბერიძის კონკურენტი აღმოჩენილა; ყველა კანდიდატები დიდს მზადებაში არიანო, თავის კაცებს გზავნიან სხვა-და-სხვა მაზრებში და მომხრე მოკენჭეებს იბარებენ და იბარებენო...

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**სოფ. ვეჯინა,** (სიღნ. მაზრ.), 30 მარტს. ეს მეორე წელიწადი მიდის, რაც ვეჯონში სკოლა დაარსდა ბ. დ. პ. ცურცელაძისა და აქაურ მამასახლისის ზოგია ზოდერძიშვილის შემწეობით. დაარსდა, მაგრამ ვაი ამ დაარსებას: მანამ სკოლის სახლი ეკურთხებოდა, იყო ერთი საშინელი აყალმაყალი ხალხში. ეს აყალ-მაყალი უფრო განცხოველდა პირველ ოქტომბერს 1879 წელს, როდესაც სასკოლო სახლი ეკურთხა. ოცში ერთი ძლივს მოიპოვებოდა სურველი სკოლისა, მაგრამ იმათაც ეშინოდათ სკოლის მოწინაამდეგებისა და არც ისინი იღებდნენ ხმას სკოლის სასარგებლოდ. ხალხი ისეთი აზავთებული იყო, რომ არამც თუ შვილები მოიყვანეს სასწავლებელში ან კურთხების დროს ან შემდეგ, თითონაც არ შემოუხედნიათ სკოლაში, სკოლის გარეთ კი დიდი ყაყანი ჰქონდათ.

დაწყობა ამ ვეჯონის სკოლისა ეკუთვნის, როგორც მოგეხსენებათ ზემო ხსენებულ პირს; მაგრამ რაც გამოდგება და სკოლის სისრულეში მოყვანა ეკუთვნის თ. მიხეილ მიხეილის-ძე ანდრონიკოვს, რომელიც ამოირჩია საზოგადოებამ სკოლის მზრუნველათ და ეხლაც ამ თანამდებობას ასრულებს. ეს თავადი იყო ისეთი პირი, რომელმაც დ. პ. ცურცელაძისაგან დაწყობილი კეთილი საქმე განახორციელა. ბევრი მამალი დაიყივლებდა, რომ ვეჯონში სკოლა მარტო სახელითა ყოფილიყო და საქმით კი არა, თუ მიხეილ ანდრონიკოვი არ შესწრობოდა ამ სკოლას მზრუნველათ. ჯერ ამან უშოვნა სოფელს იაფ ფასად სკოლისათვის სახლი და მის გადაკეთებაში არც თავისი დაიშურა. მერე დაიწყო ქუჩა-ქუჩა სიარული, და სადაც ორსა და სამს კაცს დაინახავდა, დადგებოდა და უქადაგებდა იმათ სკოლის სარგებლობაზედ. ამ ნაირათ მან რამდენსამე მოაყვანინა სკოლაში თავიანთი შვილები.

ამ ჟამათ სკოლაში სწავლობს 45 შაგირდი. ამათში 13 ქალი, რომელნიც ვაჟებზედ უკეთ სწავლობენ.

თავისი კეთილი გულით თ. მ. ანდრონიკოვმა ისე მიიზიდა შეგირდები, რომ, როდესაც სკოლაში მომავალს ჰხედავენ (კვირაში ორჯერსამჯერ მოდის სანახავათ), ალტაცებაში მოდიან შეგირდები; ჩემგნით შეგირდების დასჯაც იმაში მდგომარეობს, რომ მზრუნველთან არ წაიყვან იმ შეგირდს, რომელიც ეამაჯავრებს.

ყველა ამაებმა დამარწმუნეს, რომ მზრუნველი სასოფლო სკოლისათვის დიდი განძია და დიდათ უბედურათა ვთვლი იმ სკოლებს, სადაც მზრუნველები არ არიან; მხოლოდ მზრუნველები არა სახელით მარტო, როგორც ზოგიერთ სასოფლო სკოლებსა ჰყავთ, მზრუნველები საქმით, როგორც თ. მიხეილ ანდრონიკოვია. თუ ზოგიერთ სკოლებში უმზრუნველოთაც კარგათ მიდის საქმე, უნდა მოგახსენოთ, რომ კეთილ სვინიდისიანი მზრუნველების

---

რო ეჯავრებოდა, რომ ნებას არ მაძლევსო, ჩემს ხალხს კონსტიტუცია, მომეტებული თავისუფლება მივანიჭოვო. სხვა ჩემი ქვეშევრდომი ხალხებიც მოინდომებენ მაშინ კონსტიტუციასაო. ყოველ ხელმწიფისათვის კონსტიტუცია ნამდვილ მალამოდ მიაჩნდა გერცოგს და უკვირდა—რატომ ეძნელებათ ასე ზოგიერთ მეფეებს კონსტიტუციურ წესის შემოღება თავიანთ სახელმწიფოშიო.

„—თქვენ წარმოიდგინეთ ყოვლად-მპყრობელი მეფის მდგომარეობა, ამბობდა გერცოგი: კარის-კაცები და მინისტრები, რასაკვირველია თავიანთ კერძო სარგებლობისათვის, არწმუნებენ იმას, რომ მთელი სახელმწიფოს ძალა და უფლება იმის ხელშია; რომ ის არის განუკითხავი ბატონი—ბრძანებელი თავის ხალხისა. ახლა წარმოსდგება ხოლმე აქედამ: ამ გვარს უკონსტიტუციო სახელმწიფოში ყველაფერში პასუხის-მგებელი ხელმწიფეა. სადმე იმის სახელმწიფოის კუნჭულში, ვსთქვათ, რომელმამე ჟანდარმმა, ან ტყის მცველმა, ან სასამართლოს სეკრეტარმა რამე დაშავა, რამე ბოროტ-მოქმედობა ჩაიდინა. არავინ არ გაჰკიცხავს მარტო ამ ჟანდარმს, ტყის მცველს ანუ სეკრეტარს; ყველა მთავრობაზე, თვით ხელმწიფეზე იწყებს ლაპარაკს, იმას ჰკიცხავენ, იმის დაყენებულიაო, სულ იმის ბრალიაო! მე იქნება არც კი ვიცი — არის ჩემს სამფლობელოში ესა-ეს ბოროტ-მომქმედი ჟანდარმი ან სეკრეტარი, მაგრამ ხალხი მაინც მართალია, რადგან ის ჟანდარმი და სეკრეტარიც ჩემის ბრძანებით არიან დანიშნულნი და ჩემის მფარველობით სჩადიან ბოროტ-მოქმედებას.

„აი ამიტომ ჩემი ქვეშევრდომნი ჩემ მტრებად ხდებიან და დღე-და-ღამ ჩემ დაღუპვას ჰფიქრობენ. ბოროტ კაცად ქვეყნის მტყავებლად მივაჩნივარ ჩემ ხალხს, თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემ-და-თავად ცუდი არა მქონია-რა ჩემის ქვეშევრდომისათვის, მუდამ კეთილი განზრახვა მქონდა. რაც რამ სიბოროტე და ცუდი მოხდება ჩემს სახელმწიფოში, ყველაფერს მე მაბრალებენ: ის არის ერთად ერთი გამგებელი სახელმწიფოსი, ყველაფერი უნდა რიგიანად მოაწყოს იმანაო; ყველაფერში პასუხის მგებელი ის უნდა იყოსო,—გაიძახიან! და თუ ხალხის საკეთილ-დღეო და სასარგებლო რამე მოვახდინე, თუ ქვეყნის გამოსადეგი რამ განკარგულება გამოვეცი, ამისათვის მე არც ქება მერგება და არც მადლობა ხალხისა: იმ წამსვე ჰკითხულობენ: ვინ ურჩია ჩვენ მეფეს ამისთანა კარგი საქმეო? ალბათ ეს ამა-და-ამ მინისტრის ან კარის-კაცის საქმე უნდა იყოსო! და სხვ. და სხვ.

„მთელი ჩემი მეფობა ისე გავატარე, რომ, მგონია, ერთი არავისთვის არ მიწყენიებია, არავისთვის ზარალი და შეურაცხყოფა არ მიმიყენებია; არავინ არ მინდა შევავიწროვო. მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ მე ჩემ ხალხს უყვარვარ? შემცდარი იქნებით, თუ ასე იფიქრებთ; მეც ისე უყვარვარ ჩემ ხალხს, როგორც ჩემი საყვარელი მეზობელი და ნათესავი როგანტინო (დაცინვითი სახელი გერცოგის ფრანჩესკო მეოთხისა, რომე

შემწეობით უფრო მეტს კეთილ დღეობაში და წარმატებაში იქნებოდნენ.

რა ქნ.ს მარტო მასწავლებელმა: სკოლის საჭიროებაზედ იზრუნოს, თუ შეგირდებს ასწავლოს? Ორ კურდღელს მისდევს იგი. Თუ მზრუნველი ჰყავს სკოლას, მაშინ მასწავლებელს რჩება მარტო შეგირდების სწავლება და, თუ კეთილ-სვინიდისიანათ არ ასრულებს ამ მოვალეობას, ვერაფრით ვერ იმართლებს თავს.

რაც შეეხება Დ. Პ. Ფურცელაძეს, რომელმაც დაიწყო ეს კეთილი საქმე, თუმცა არ არის საზოგადოებისაგან ამორჩეული მზრუნველად, მაგრამ თავის დაწყობილ კეთილ საქმეს არ აგდებს უყურადღებოს. Ისიც ცდილობს სკოლის წარმატებისათვის; მან შესწირა სკოლას ბევრი რამ კარგი და საჭირო მასალები და წიგნები, სამი პარტა თითო ოთახისათვის, ერთი კედლის საათი, რომელშიაც 25 მანეთი მიუცია და აი 26 ამ თვისას მივიღე იმისაგანვე შეწირული საკერავი მაშინა ეცხით სამუშავებელი, რომელშიაც რვა თუმანი მიუცია. Ეს საკერავი მაშინა არის უძვირფასესი შესაწირავი Დ. Პ. Ფურცელაძისაგან და უძვირფასესი ნივთი სკოლისა, რადგანაც ქალები სწავლობენ ამ სკოლაში და იმათთვის ხელ საქმეც საჭირო არის. ხელ საქმის სწავლებაში ამ მაშინაზედ მონაწილეობას იღებენ უფასოდ: ქ-ნა ნატალია Ანდრონიკოვისა, კნიაჟნა Ელენე Აბაშიძისა (ორივეს უსწავლიათ ტფილისის საქალებო სასწავლებლებში) და ჩემი და, რომელიც აქამომდე ასწავლიდა ხელ საქმეს.

გარდა ამ შეწირულებისა Დ. Პ. Ფურცელაძემ ფულათაც შესწირა, რომელიც არის ჩაწერილი ჩემგნით გაკეთებულ პატარა დავთარში. რადგანც ამ დავთარში სხვისგან შეწირული ფულები არის ჩაწერილები, მე მოვიყვან აქ იმ რიგზედ, როგორც ჩაწერილნი არიან შემწირველნიც და შეწირულიც:

1, მასწავლებელმა Ნ. Ნათიძემ . . . . . 4 მან.
2, Დიმიტრი Ფურცელაძემ 6 —
3, მამასახლისმა Გოგია Გოდერძიშვილმა . . . 5 —
4, Სტეფანე Დავიდოვმა . 3 —
5, Სიმონ Მელიქ-Ნუბაროვმა . . . . . 1 —
6, Მღვდელმა Პ. Ელისბაროვმა . . . . „ 40 კ.
7, Გიქო Ტარულოვმა . 2 მან.
8, Ალექსი Გახტაძემ . . 1 —
9, Გიგო Ანდრონიკოვმა 3 —
10, Მალაქია Ცქიტიშვილმა 1 —
11, Ალექსანდრე Ივ. Ანდრონიკოვმა . . . 10 —
12, Გიორგი Სტეფანოვმა 5 —
13, Გეურქ Ოთროვმა . 2 —
14; Მოსიკო Იარალოვმა . 2 —
15, Სვიმონ Მაისურაძემ . 3 —

სულ 48 მ. 40 კ.

და Ნიკ. Გაირამოვმა ერთი ზარი (სამ მანეთიანი).

Ეს 48 მან. და 40 კ. ზოგი ისევ არის, ზოგი კი დავხარჯე სკოლის ნივთებში. Გავაკეთებინე: პარტები, ერთი კარგი კლასის საწერი ფიცარი (15 მანეთათ), პატარა გარები, თოხები და ცული შაგირდებისათვის, რადგანაც ბოსტნეულობას აკეთებენ ხოლმე თავიანთთვის; ვიყიდე სხვა საჭირო ნივთებიც ყოველი დანახარჯი რაშიმე გასავლის წიგნში სწერია.

მასწავლებელი სკოლისა.

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

—

## ᲩᲐᲛᲝᲮᲠᲩᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

როდესაც პალაჩმა ჩამოჰკიდა მიხაილოვი, თოკის ბოლო მოხსნილიყო და მიხაილოვი ძირს ჩამოვარდნილიყო. Პალაჩი და მისი თანაშემწეები საჩქაროდ მიცვივდნენ, ჩამოაცვეს მეორე თოკი და ასწიეს.

— Გაზეთ „Გოლოსში“ აი როგორ არის აწერილი ვინ როგორ გაატარა დრო ჩამოხრჩობის წინა დღით:

„რისაკოვმა მიიღო მღვდელი, დიდ ხანს ელაპარაკა, აღსარება უთხრა და წმ. საიდუმლოც მიიღო, 2 აპრილს რისაკოვი ნახეს მტირალი; ამ დღემდინ ის ხშირ დ კითხულობდა ხოლმე წმ. სახარებას. Აგრეთვე მიხაილოვმაც მიიღო მღვდელი, დიდ ხანსაც ელაპარაკა, აღსარებაც სთქვა, მაგრამ წმ. საიდუმლო არ მიუღია. Ჟიბალჩიჩმა ორჯელ ბაასი დაუწყო მღვდელს, აღსარებაზედ და წმ. საიდუმლოს მიღებაზედ უარი უთხრა; ბოლოს საპყრობილის ზედამხედველს სთხოვა მღვდელი თავიდამ მომაშორეთო. Ჟელიაბოვმა და Სოფიო Პეროვსკის ქალმა გადაჭრით უარი სთქვეს მღვდლის მიღებაზედ.

„Უკანასკნელი, ჩამოხრჩობის წინა ღამე დამნაშავეთ გაატარეს ცალკ-ცალკე, Პეროვსკის ქალი დაწვა თერთმეტ საათზედ; Ჟიბალჩიჩი ცოტა უფრო გვიან, რადგანაც წერილს სწერდა თავის ძმასთან, რომელიც ამ ჟამად, ამბობენ, Პეტერბურღში არისო. Მიხაილოვმაც მისწერა წერილები თავის მშობლებს Სმოლენსკის გუბერნიაში. Წერილი არის დაწერილი ბევრის შეცდომებით, როგორც უბრალო რუსის გლეხები სწერენ ხოლმე, Პეროვსკის ქალმა რამდენიმე დღით წინეთ გაგზავნა წერილი თავის დედასთან. Ჟელიაბოვმა დასწერა წერილი მშობლებთან, შემდეგ გაიხადა და დაწვა დასაძინებლათ თერთმეტ საათზედ. Რისაკოვს ეტყობოდა, რომ ღამე დიდ მღელვარებაში გაუტარებია. Უველაზედ უფრო დამშვიდებულათ იყვნენ Პეროვსკის ქალი და Ჟიბალჩიჩი.

„Დილის ექვს საათზედ ყველა დამნაშავე, გარდა Გესია Გელფმანის ქალისა, გააღვიძეს. Მიუტანეს ჩაი. Ჩაის შემდეგ, სათითაოთ წაიყვანეს დროებით სატუსაღოს კანტორაში, სადაც ცალკე ოთახში სხვა ტანისამოსი ჩააცვეს თეთრი ხამის ნიფხავ-პერანგი, ნაცრის ფერი შარვლები, ზევით არესტანტის შავი საცმელი, წაღები და ქუდი საყურეებით. Პეროვსკის ქალს ჩააცვეს უბრალო ჩითის წვრილი ზოლებიანი კაბა, სათბური და აგრეთვე შავი არესტანტის ხალათი“.

— Ამავე გაზეთში აწერილია უფრო დაწვრილებით, ცნობები შესახებ ჩამოხრჩობისა. „Სენატის გადაწყვეტილების წაკითხვის შემდეგ ორ წყობით დაწყობილმა [illegible] სალდათებმა დაიწყეს [illegible]. Მსუბუქმა ღიმილმა გადაჰკრა Ჟელიაბოვის სახეს, როდესაც, გადაწყვეტილების წაკითხვის შემდეგ, პალაჩი ჩამოდგა Ჟიბალჩიჩისაკენ, რომ გზა დაეცალა მღვდლებისათვის, რომელნიც სამოსელში შემოსილი, ჯვრებით ხელში, ავიდნენ ეშაფოტზედ. Დამნაშავენი თითქმის ერთად მივიდნენ მღვდლებთან და ემთხვიეს ჯვარს; ამის შემდეგ პალაჩებმა დააყენეს ისინი თავ-თავის თოკთან. Მღვდლებმა გადასახეს დამნაშავეთ პირს-ჯვარი და ჩამოვიდნენ ეშაფოტიდამ.

როდესაც ერთი მღვდელი მიუახლოვდა Ჟელიაბოვს და გარდასახა პირს-ჯვარი, დამნაშავემ რაღაც უთხრა დაბალის ხმით, მაგრათ ემთხვია ჯვარს, გააქნია თავი და გაიღიმა. Სიმხნევე არ დაჰკარგვია არც Ჟელიაბოვს, არც Პეროვსკის ქალს, განსაკუთრებით Ჟიბალჩიჩს, სანამ თეთრი ტომრები თავზე არ წამოახურეს. Ამ დროს Ჟელიაბოვი და Მიხაილოვი მიუახლოვდნენ Პეროვსკის ქალს და კოცნით გამოეთხოვენ. Რისაკოვი იდგა გაშეშებული და თვალ მოუშორებლად უცქერიდა Ჟელიაბოვს.

„Პირველად ჩამოაცვა პალაჩმა სუდარა Ჟიბალჩიჩს, გაუყარა ყელზე თოკი და ასწია სალრჩობელაზე. Მერე ჩამოაღრჩვეს Მიხაილოვი, შემდეგ Პეროვსკის ქალი, და Ჟელიაბოვი. Უკანასკნელად Რისაკოვი; შეხედა თუ არა ამან, რომ ყველანი სუდრებით შემოსილი მზათ იყვნენ ჩამოსაღრჩობლათ, მუხლები ჩაეკეცა, მაგრამ პალაჩმა სისწრაფით ჩამოაცვა იმასაც თეთრი ტომარა და ასწია თოკზე. Ამ დროს ბარაბანის ხმა არ შეჩერებულა.

„Საშინელ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზედ, როდესაც ხედავდით ხუთ კაცს თეთრ ტომრებში გამოხვეულს. Უველაზედ მაღალი მოჩანდა Მიხაილოვი.“

— Ერთს Პეტერბურღის გაზეთში სწერენ, რომ ჩამოხრჩობის წინათ დამნაშავეთ ოთხივე კუთხით სალამი მისცა ხალხს ეშაფოტიდამაო. Ჟელიაბოვმა ხმა მაღლა დაიწყო ლაპარაკი,

---

ლიც Ავსტრიის ხიშტების წყალობით მეფობდა Მოდენაში) უყვარს თავის მოდენელებს, თუმცა ჩემსა და ამ მტარვალ გერცოგს შუა მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ ორთავეს ორ-ორი ფეხი გვაბია.

„Უველა ამას ავიცდენდი თავიდამ მხოლოთ ერთის საშუალებით: კონსტიტუცია რომ მიმეცა ჩემის ხალხისათვის. Რა ბედნიერი ვიქნებოდით მაშინ მეც და ჩემი ქვეყანაც! Ჟონსტიტუცია პაპის ლოცვა-კურთხევაზე უფრო გასჭრიდა. Ჟეთილ გონიერ გამგებელს კონსტიტუცია ერთ ნამცეცას არაფერს არ დააკლებს, რასაც არ შემატებს. Და შემატებს იმას, რომ მეფე ყველაფერში პასუხისმგებელი აღარ იქნება. Არც მტრები მეყოლებოდა მაშინ, საწამლავით და ხანჯლით ჩემს მოკვლასაც არავინ განიზრახავდა. Ტიტის და მარკ Ავრელის სახელსა და დიდებას დავიმსახურებდი. Მაგრამ Ვენაში (Ავსტრიის მმართებლობას) ეს არ ესმისთ: ამ თხუთმეტის წლის წინათ მე გადაკვრათ მოვახსენე Ავსტრიას, რომ მმართებლობის სისტემას გამოცვლა ეჭირება-მეთქი. „Ჯარით დავიჭერთ თქვენს სამეფოსაო!“ შემომითვალეს. Მე ვაცნობე, რომ თავის მტარვალურ (დესპოტურ) გამგეობით Ავსტრია გვლუპავს ჩვენ, რომ ადვილად შეიძლება ყოველ-გვარ უფლებას მოკლებული ხალხი მოთმინებიდამ გამოვიდეს, რევოლიუცია მოახდინოს და გაგვდევნოს ჩვენის სამეფოიდამ. Ამ ჩემმა სიტყვამ საშინლათ გაანჩხლა Ავსტრია: კარბონარს (რევოლიუციონერს), რესპუბლიკელს მეძახოდნენ!

„Ნაპოლეონი პირველი მართალს ამბობდა: ნეტავი ჩემი თავის შვილიშვილი ვიყოვო! Დიდი აზრია ამ სიტყვეში: ოც-და-ათის, ორმოცის წლის შემდეგ ამისთანა მმართებლობის წესები აღარსად აღარ იქნება ევროპაში...“

Ასე ლაპარაკობდა Იტალიის პატარა სამთავროს მეფე.

Ერთის წლის შემდეგ Პარმის ერც გერცოგინა Მარია Ლუიზა მოკვდა; გერცოგს Ჟარლო მეორეს თავის სამფლობელო Ტოსკანის გერცოგისათვის უნდა დაეთმო და თვითონ კი Პარმაში გადასულიყო. Ჟიდევ ერთის წლის შემდეგ, ესე იგი 1848 წ., როგორც მოგეხსენებათ, მთელს Ევროპაში რევოლიუცია მოხდა; Ჟარლო მეორე თავის ნებით გადადგა Პარმის ტახტიდამ და თავის შვილს დაუთმო მთავრობა. Ეს შვილი რევოლიუციონერებმა მოჰკლეს.

როდესაც Იტალიის ყველა წვრილი სამეფოები და სამთავროები, Გარიბალდის მოღვაწეობით, Ჟოისპო და მთელი Იტალია ერთ სამეფოდ შეერთდა, გარდიქცა, მოხუცებული გერცოგი თავის ძველს დედა-ქალაქში Ლუკაში დაბრუნდა და კერძო კაცად სცხოვრებდა; მაგრამ ეს ცხოვრება ათასწილ უფრო ბედნიერად და ნეტარად მიაჩნდა, ვინემ ის დრო, როდესაც აქვე გერცოგი და მეფე იყო; ყველას უყვარდა ის, ყველა პატივს სცემდა....“

რალაცას თქმა უნდოდა, მაგრამ ბარაბნის შეუჩერებელმა ხმამ გააწყვეტინა მას სიტყვაო. როდესაც პალაჩმა ასწია მიხაილოვი სარჩობელაზედ და უნდოდა თოკი გაესაგრებინა სვეტზედ, ამ დროს მიხაილოვმა, რომელსაც ეტყობოდა უნდოდა სკამის გამოცილება ფეხებიდამ, წაკრა ფეხები და თავის ტანის სიმძიმით გამოგლიჯა პალაჩს ბაწარი ხელებიდამ და ჩამოვარდა ძირს ეშაფოტზე. პალაჩებმა საჩქაროდ ასწიეს ის, დასვეს სკამზედ და ხელ-ახლავ ჩამოკიდეს. მაგრამ, როდესაც მიხაილოვი ასწიეს ზევით და ერთი მინუტი იყო ამ დგომარეობაში, ასე რომ შეუდგენ პეროვსკის ქალის ჩამოღრჩობას, უეცრად თოკი მოსწყდა და დამნაშავე ხელ-ახლად დაეცა ეშაფოტის იატაკს. იმავე წამსვე დაამზადეს ახალი სახრჩობელა ორკეცი ბაწრით და მესამედ ასწიეს.

— 2 აპრილს პეტერბურღში დაატუსაღეს სამი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი. აი რას იწერებიან გაზეთებში ამ დატუსაღებაზედ:

ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა მიიქცია პოლიციის ყურადღება მით, რომ ჩაიარდა და ამოიარდა ერთ ქუჩაზედ, თითქოს ვისმეს ელოდაო. რასაკვირველია, პოლიცია თვალს არ აშორებდა. სამი საათის სხვა და სხვა ქუჩებში სიარულის შემდეგ, ეს ყმაწვილი კაცი გაჩერდა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტთან. აქ მასთან მოვიდნენ სამი სხვა ახალგაზდა; იმავე წუთს დაიჭირეს სამივე, გარდა ერთისა, რომელმაც თავს უშველა. ორმა იმათგანმა გამოაცხადეს, რომ ეკუთვნიან სოციალისტების დასს, მესამემ კი უარი სთქვა თავის გვარისა და სადგომის გამოაშკარებაზედ, რის გამო წაიყვანეს და ჩასვეს ქალაქ-მთავრის კანცელარიაში, სადაც მოწვეულნი იყვნენ მთელი პეტერბურღის ასასები (დვორნიკები) რომ გამოიცნონ ამ ყმაწვილის ვინაობა. დიდ-ძალი ხალხი აწყდება ქალაქის მთავრის სახლს და ყველას უშვებენ შახედონ მას, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ იქნება ვინმემ გამოიცნოს ის. პირველ დღეს ვერავინ ვერ იცნო. ყმაწვილი შუა ტანის არის, ხმელ-ხმელი, თმა მოშავო და პატარა ქერა წვერი. ამბობენ, ამის გამომცნობელისთვის ფულით ჯილდო არის დანიშნულიო.

ამ ჟამად, როგორც სწერენ დეპეშით პეტერბურღიდამ „მოსკოვის უწყებაებს,“ ქალაქის მთავრის ცდამ მიაღწია თავის წადილს. ყმაწვილი უცვნია ერთს „დვორნიკს;“ და გამოუცხადებია კიდევაც მისი სადგომი. იმის სადგომიდამ ბევრი საეჭვო ნივთები და აკრძალული წიგნები დაკარგულა. ამბობენ, სამი თითი აკლიაო და ეს თითები აქვს მოგლეჯილი დინამიტის აფეთქების დროს ოდესის სიახლოვესო.

— პეტერბურღიდამ დეპეშით აცნობებენ „რუსკი კურიერს“, რომ რეალურ სასწავლებლების წესდება გამოიცვლებაო; ამ სასწავლებლების და გიმნაზიების მოსწავლეთ უფლება გათანასწორებული იქნებაო.

— გაზეთი *„Agence Russe“* გვაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორი გადავიდა გატჩინოშიო. სასახლის ყარაულად ბევრი პოლიციელები მოიხმეს პეტერბურღიდამაო და ამ პატარა ქალაქის უფროსად და ხელმწიფის დარაჯთა უფროსად ღენ.-ადიუტანტი ვორონცოვ-დაშკოვი არის დანიშნულიო.

— პეტერბურღიდამ სწერენ გაზეთ „მოსკოვის ტელეგრაფს“, რომ ლორის-მელიქოვის ავათ-მყოფობაზედ და სამსახურიდამ გამოსვლაზე ხმა უფრო და უფრო ვრცელდებაო.

— 3 აპრილს, მოსკოვის უნივერსიტეტის რჩევას ჰქონდა სჯა შესახებ იმ სტუდენტებისა, რომელთაც მოახდინეს უწესოება 31 მარტს. დიდი ხნის ბაასის შემდეგ, რჩევამ გარდასწყვიტა, გაზეთის „მოსკოვის ტელეგრაფის“ სიტყვით, გამოირიცხოს უნივერსიტეტიდამ 140 სტუდენტი იმ პირობით, რომ ეხლავე შეეძლოსთ სხვა უნივერსიტეტებში შესვლა და ერთი წლის შემდეგ კი, ე. ი. 15 მარიამობისთვეს, მოსკოვის უნივერსიტეტში.

— ისევ გაზეთი გვაცნობებს, რომ უნივერსიტეტის რჩევის გარდაწყვეტილებით, უნივერსიტეტში გამოჰკრდეს განცხადება, რომელშიაც სწერია, რომ ის სტუდენტები, რომელნიც იყვნენ ყრილობის დროს ანატომიურ ზალაში რომელიმე საქმისათვის და მოხვდნენ გადაწერის დროს სიაში, შეუძლიანთ მისცენ რექტორის სახელზედ თავიანთი გასამართლებელი პასუხი.

გამორიცხულთა რიცხვიდამ ბევრს უსარგებლნია ამ განცხადებით და იმათი პასუხის გარჩევის შემდეგ, რჩევას გარდაუწყვეტია იმათ უნივერსიტეტში დარჩენა.

# განცხადებანი

**კარტუზების (ქუდების)**
**სკლადში ავეტ. აკოფოვისა**

ეს-არი ახალათ მიღებული გარმავიდან და მოსკოვიდან გამოჩენილი მკერვალებისგნით ვაჟკაცებისა და ყმაწვილების ფურაშკები (ქუდები) ახალი ფასონისა მაუდისა, ტრიკოსი და აბრეშუმისა, რომელიც ისყიდება ბევრათ ნაკლებ სხვების ფასებთან

სკლადი იმყოფება ლვარცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, შადინოვის და ყალამქაროვის მაღაზიების შუაში. (2—2)

**მიიცემა ქირით**

შუა ეტაჟი კიკნაძის სახლისა, ეგზარხოსის მეიდანზე, მომავალს 1 მაისიდამ. სადგომი შეიცავს ოთხ ოთახს თავის კუხნით და სარდაფით.

ამ სადგომის დაქირავების მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე, ქვემო-ეტაჟში მდგომს დედა-კაცს კეკეს. (2—2)

**სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა,**

ახალი ხელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ყმაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ პლისეს მაშინაზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-ყმაწილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში **№ 87.** (10—4)

**სუფრის** მოწყობილობა, სასუფევები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად **ინგლისის მაღაზიაში.** (10—2)

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა **აპრილს** 18-ს ნაშუადღევის პირველ საათზე, იმის თანადასწრებით **იქნება ვაჭრობა ფეთხაინის წყლის გასაყვან მილის გაკეთებისათვის.**

ამის პროექტი, სმეტა და პირობები მსურველს შეუძლიან ნახოს ქალაქის გამგეობის კანცელიარიაში მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, უქმე დღეებს გარდა. (3—2)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.**

საავენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინივით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.
100—49

ინგლისის მაღაზიაში



თმის სამ-ყვანი — მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—59)

**დასყიდვის დროს** ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 30 მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტვეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქაღალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი. ქაღალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—4)

**ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან**

**ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა** აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ **ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება** დანიშნულია ამა წლის 30 **აპრილისათვის,** დილის თერთმეტ საათზე. ქ. ქუთაის ბანკის გამგეობის სადგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1880 წლისა
2. დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1881 წლისათვის.
3. შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთის § §-სა.
4. დანიშნვა იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქნეს საზოგადო საჭიროებათათვის გადადებული ფულები.
5. არჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის თავმჯდომარისა, ორთა ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა ერთის კანდიდატისა.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.